ხელშეკრულება №118
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. გორი 14 სექტემბერი 2018 წელი

ერთის მხრივ ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი" (ს/კ 417874973) (შემდგომში –„შემსყიდველი"),მისი დირექტორის გია ისიანის სახით და მეორეს მხრივ შპს „მოდულ მნ" (ს/კ 417873787) (შემდგომში–მიმწოდებელი),დირექტორის ნოდარ მექვაბიძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი"-ს ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით საზეინკლო მომსახურებების (CPV98395000) და მანქანების შეკეთება და ტექნიკური მომსახურების (CPV50112000) გამარტივებული შესყიდვა მოთხოვნის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ობიექტი და საერთო ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ობიექტია

№	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	სულ თანხა (ლარი)	CPV კოდი
1	საფეხბურთო გადასაადგილებელი კარის უჯანგავი ფოლადისაგან დამზადებული სარეგულირებელი ზოლოვანა შიდა ხრახნის გამოჩარხვა	6	30	180	98395000
2	ბალახის საკრეჭი მანქანის სარეგულირებელი ბრინჯაოს მილყელის და ღერძის გამოჩარხვა	2	150	300	98395000
3	შიდა სპეცხრახნიანი შკივის აღდგენა დამზადება	1	100	100	98395000
4	ღერძიანი შკივის აღდგენა	1	100	100	98395000
5	მინდვრის საკრეჭი მანქანის დაშლა-აწყობა შეკეთება	1	300	300	50112000
6	გადასაბმელი ქუროს გაჩარხვა	2	100	200	98395000
7	გადასაბმელი ქუროს რეზინის დამზადება	1	20	20	98395000
8	სარეგულირებელი ზამბარის დამზადება.კვანძების აღდგენა	2	65	130	98395000
	სულ			1330	

2.2.შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნული ვალუტით (ლარებში).

2.3.შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს 1330 (ერთიათასსამასოცდაათი) ლარს. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების მათ შორის დღგ და სხვა თანმდევი ხარჯის ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადა

3.1.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2018 წლის 20 სექტემბრის ჩათვლით.

3.2.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: გორი ცხინვალის გზ.№8.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1.შესყიდვის ობიექტის მომსახურეობა ჩაითვლება მიღებულად შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ რომელიც დადასტურებული უნდა იქნას მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

5. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნული ვალუტით (ლარებში);

5.2.შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების მეშვეობით, მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმებიდან 10 კალენდარულ დღეში.

5.3.ანაზღაურების ადგილია ქ. გორი. გურამიშვილის 5.

6.მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

–შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

6.2.შემსყიდველი ვალდებულია:

–მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

–უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

6.3.მიმწოდებელს უფლება აქვს:

–მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6.4.მიმწოდებელი ვალდებულია:

–მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

–დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

7.1.მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

7.2.თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება;

7.3.ხელშეკრულების გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულ.ებლობით;

7.4ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

7.5ხელშეკრულებით გათვალ;ისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ,ღირებულების 0,02 %-ს ოდენობით.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1.ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2018 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

9.1.წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის, შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული :შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ფორს-მაჟორი

10.1.მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.2.თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

10.3.მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1.ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2.შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდული საქონელის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება,რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან დაშემსყიდველის მოთხოვნებთან.

12.2.ხელშეკრულების ინსპექტირებას და საქონლის მიღება-ჩაბარებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ„გორის მუნიციპალიტეტის მერიის ფეხბურთის კლუბი გორი"-ს მინდვრის მოვლის სპეციალისტი გიორგი მაისურაძე.

12.3..შემოწმების შედეგად გამოვლენილ ნებისმიერ ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით;

12.4..გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის მერიის ფეხბურთის კლუბი გორი"	შპს „მოდულ მნ"
მისამართი: გორი, გურამიშვილის ქ. № 5	მისამართი: გორი, ცხინვალის გზ. 8
საბანკო რეკვიზიტები: ბანკი სახელმწიფო ხაზინა	საბანკო რეკვიზიტები სს თიბისი ბანკი
ბ/კოდი TRESGE22	ანგ № GE04TB7484136050100004
ს/კ 417874973	ბანკის კოდი TBCGE22
	ს/კ 417873787
დირექტორი: გ. ხინაბი	დირექტორი: ნ. [illegible]

GEORGIA. NLP GORI MUNICIPALITY FOOTBALL CLUB GORI * 417874973

GEORGIA GORI "MODUL MN" LTD * 417873787

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ.გორი 14 სექტემბერი 2018 წელი

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ხელის მოწერით ვადასტურებთ, რომ ა(ა)იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი"-ს მიერ 2018 წლის 14 სექტემბერს დადებული N118 ხელშეკრულება შპს ,,მოდულ მნ"-სთან (ს.კ.417873787) გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

დირექტორი გია ისიანი

მინდვრის მოვლის სპეციალისტი გიორგი მაისურაძე

შესყიდვების მენეჯერი სვეტლანა ზაუტაშვილი